




ინფორმაციის თავისუფლების
განვითარების ინსტიტუტი

საქართველო კანონის უზენაესობის გლობალურ ინდექსში

2017-2018 წლებში კანონის უზენაესობის მდგომარეობა საქართველოში საგრძნობლად გაუარესდა



Government Powers



Absence of Corruption



Open Government



Fundamental Rights



Order and Security



Regulatory Enforcement



Civil Justice



Criminal Justice

შინაარსი

ძირითადი მიგნებები	1
შესავალი	3
კანონის უზენაესობის გლობალური ინდექსის მეთოდოლოგია	3
საქართველო კანონის უზენაესობის გლობალურ ინდექსში	5
2017-2018 წლების შეფასება	5
წესრიგი და უსაფრთხოება	6
კორუფციის არარსებობა	7
ფუნდამენტური უფლებების დაცვა	9
სარეგულაციო აღსრულება.....	10
ღია მმართველობა.....	12
მთავრობის ძალაუფლების შეზღუდვა	14
სამოქალაქო მართლმსაჯულება.....	15
სისხლის სამართლის მართლმსაჯულება	17
დასკვნა.....	18

ძირითადი მიგნებები

- კანონის უზენაესობის გლობალური ინდექსის თანახმად 2017-2018 წლებში კანონის უზენაესობის მდგომარეობა საქართველოში 0.61 ქულით არის შეფასებული (მაქსიმალური 1 ქულა). მოცემული მაჩვენებლით საქართველო 38 ადგილს იკავებს შეფასებულ 113 ქვეყნას შორის. წინა წლებთან შედარებით საქართველოს მაჩვენებელი 4 პოზიციით გაუარესდა.
- კანონის უზენაესობის ინდექსით შეფასებულ რვა კრიტერიუმს შორის 2017-2018 წლებში საქართველომ ყველაზე მაღალი შეფასება წესრიგისა და უსაფრთხოებისა და კორუფციის არარსებობის კომპონენტებში მიიღო.
- ყველაზე პრობლემურ მიმართულებებს საქართველოში სამოქალაქო და სისხლის სამართლის მართლმსაჯულება წარმოადგენენ.
- 2017-2018 წლებში საქართველომ წინა წლებთან შედარებით ყველაზე დაბალი შეფასება მიიღო კორუფციის არარსებობის, სარეგულაციო აღსრულების, სამოქალაქო და სისხლის სამართლის მართლმსაჯულების მიმართულებებში.

- **წესრიგისა და უსაფრთხოების** კრიტერიუმში რეგიონულ დონეზე საქართველოს პოზიციამ პირველიდან მესამე ადგილზე გადაიწია. გლობალურ რეიტინგში საქართველოს პოზიცია 17 ადგილით გაუარესდა 2014 წელთან შედარებით.
- **კორუფციის არარსებობის** კრიტერიუმში საქართველომ ყველაზე დაბალი მაჩვენებელი 2014 და ბოლო 2017-2018 წლების შეფასებებით მიიღო. ამავე კრიტერიუმში 2017-2018 წლებში ორი პოზიციით გაუარესდა საქართველოს მდგომარეობა გლობალურ რეიტინგში.
- **ფუნდამენტური უფლებების დაცვის** მხრივ საქართველოში ყველაზე პრობლემურად შეფასებულია პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა, დასაქმებულთა უფლებები და უფლება სამართლიან სასამართლოზე.
- 2017-2018 წლებში ფუნდამენტურ უფლებათა დაცვის მდგომარეობა საგრძნობლად გაუარესდა საქართველოში და ის 2012-2013 წლების მაჩვენებელს გაუტოლდა. ფუნდამენტურ უფლებათა დაცვის მხრივ საქართველოს პოზიცია რეგიონულ რეიტინგში ერთით, ხოლო გლობალურ რეიტინგში 7 ადგილით დაეცა.
- შეფასების თანახმად საქართველოში პრობლემურ მიმართულებებს წარმოადგენენ ადმინისტრაციული წარმოების პროცესში სამართლიანი ადმინისტრაციული პროცედურების უზრუნველყოფა და პროცესის დაუსაბუთებელი გაჭიანურების თავიდან აცილება.
- **ღია მმართველობის** კრიტერიუმის ფარგლებში ერთ-ერთ ყველაზე პრობლემურ მიმართულებად საქართველოში ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნება შეფასდა. 2017-2018 წლებში საქართველოში ღია მმართველობის მდგომარეობა გაუმჯობესდა 2012-2013 წლებთან შედარებით, თუმცა დაეცა 2015-2016 წლებთან შედარებით.
- ღია მმართველობის მიმართულებით რეგიონულ რეიტინგში საქართველოს მდგომარეობა 2016 წელთან შედარებით დაეცა და პირველიდან მეორე პოზიციაზე გადაინაცვლა. გლობალურ რეიტინგში საქართველოს პოზიცია 11 ადგილით გაუარესდა.
- **მთავრობის ძალაუფლების შეზღუდვის** ინდიკატორებს შორის საქართველოში ყველაზე მაღალი შეფასება არასამთავრობო სექტორის კონტროლისა და დამოუკიდებელი აუდიტის არსებობის მიმართულებებით დაფიქსირდა.
- ამავე კრიტერიუმის ინდიკატორებს შორის ყველაზე პრობლემურად თანამდებობის პირთა პასუხისმგებლობა შეფასდა.
- მთავრობის ძალაუფლების შეზღუდვის კუთხით საქართველოს ყველაზე მაღალი მაჩვენებლები 2015 და 2016 წლების შეფასებებით ქონდა. მაჩვენებელი საგრძნობლად დაეცა ბოლო 2017-2018 წლებში. 16 პოზიციით გაუარესდა საქართველოს ადგილი გლობალურ რეიტინგშიც.
- **სამოქალაქო და სისხლის სამართლის მართლმსაჯულების** მიმართულებით პრობლემურად არის შეფასებული აღმასრულებელი ხელისუფლების გავლენა მართლმსაჯულების პროცესში და პროცესის დაუსაბუთებელი გაჭიანურების პრაქტიკა. ორივე მიმართულებით საქართველომ წინა წლებთან შედარებით ყველაზე დაბალი პოზიცია დაიკავა გლობალურ რეიტინგში.

შესავალი

„მსოფლიო სამართლის პროექტის“ (World Justice Project)¹ კანონის უზენაესობის გლობალური ინდექსი² წარმოადგენს კანონის უზენაესობის შეფასების ერთ-ერთი ყველაზე ვრცელ მონაცემთა ბაზას მსოფლიო მასშტაბით. „მსოფლიო სამართლის პროექტი“ წარმოადგენს, ვაშინგტონში დაფუძნებულ დამოუკიდებელ მულტიდისციპლინარულ ორგანიზაციას, რომელიც საქმიანობს მსოფლიო მასშტაბით კანონის უზენაესობის ხელშეწყობისა და განვითარების მიზნებისთვის. ორგანიზაცია 2010 წლიდან აქვეყნებს კანონის უზენაესობის გლობალურ ინდექსს. საქართველო „მსოფლიო სამართლის პროექტის“ მიერ პირველად 2012 წელს შეფასდა.

მოცემული შედარებითი ანალიზის მიზანია საქართველოს მაჩვენებლების განხილვა 2012 წლიდან დღემდე, კონკრეტული მიმართულებებით არსებული პროგრესისა და რეგრესის გამოვლენა და საქართველოს შედეგების შედარება აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის სახელმწიფოთა მაჩვენებლებთან.

კანონის უზენაესობის გლობალური ინდექსის მეთოდოლოგია

„მსოფლიო სამართლის პროექტის“ კანონის უზენაესობის ინდექსი ემყარება მოსახლეობისა და დამოუკიდებელი ექსპერტების გამოკითხვის შედეგებს თითოეული ქვეყნის მსხვილ დასახლებებში. 2017-2018 წლების შეფასება ეფუძნება 110 000-ზე მეტი მოსახლეობისა და 3000-ზე მეტი ექსპერტის გამოკითხვის შედეგებს.³ გამოკითხვის შემდეგ ხდება შედეგების შეჯამება, სახელმწიფოთა კონკრეტული მაჩვენებლების გამოვლენა და რეგიონული, ისევე როგორც გლობალური რეიტინგის შედგენა. საქართველო შესულია აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონში, რომელიც აერთიანებს შემდეგ სახელმწიფოებს: ალბანეთი, ბელორუსი, ბოსნია და ჰერცეგოვინა, საქართველო, ყაზახეთი, ყირგიზეთი, მაკედონია, მოლდოვა, რუსეთი, სერბეთი, თურქეთი, უკრაინა და უზბეკეთი (სულ 13 სახელმწიფო).

კანონის უზენაესობის ინდექსი თითოეულ სახელმწიფოს აფასებს რვა კრიტერიუმის მიხედვით, რომლებიც კანონის უზენაესობის განუყოფელ ნაწილს შეადგენენ. ესენია: მთავრობის ძალაუფლების შეზღუდვა, კორუფციის არარსებობა, ღია მმართველობა, ფუნდამენტური უფლებების დაცვა, წესრიგი და უსაფრთხოება, სარეგულაციო აღსრულება, სამოქალაქო მართლმსაჯულება და სისხლის სამართლის მართლმსაჯულება. თითოეული კრიტერიუმის შეფასება ეფუძნება სხვადასხვა ინდიკატორებს, კერძოდ:

¹ <https://worldjusticeproject.org/>

² <http://data.worldjusticeproject.org/#>

³ კვლევის მეთოდოლოგია ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: https://worldjusticeproject.org/sites/default/files/documents/Methodolgy_17-18.pdf.

წესრიგი და უსაფრთხოება - დანაშაულის, სამოქალაქო დაპირისპირებისა და საზოგადოების მხრიდან ძალადობის გამოყენების პრაქტიკის არარსებობა (3 ინდიკატორი).

კორუფციის არარსებობა - კორუფციის არარსებობა აღმასრულებელ, სასამართლო, საპოლიციო/სამხედრო და საკანონმდებლო ორგანოებში (4 ინდიკატორი).

ფუნდამენტური უფლებების დაცვა - დისკრიმინაციის არარსებობა, სიცოცხლისა და უსაფრთხოების უფლება, უფლება სამართლიან სასამართლოზე, გამოხატვის თავისუფლება, რელიგიის თავისუფლება, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა, შეკრების თავისუფლება, დასაქმებულთა უფლებები (8 ინდიკატორი).

სარეგულაციო აღსრულება - ეფექტური სარეგულაციო აღსრულება, უკანონო გავლენის არარსებობა, პროცესის დაუსაბუთებელი გაჭიანურების არარსებობა, სამართლიანი პროცესის უზრუნველყოფა, ექსპროპრიაციის არარსებობა შესაბამისი კომპენსაციის გარეშე (5 ინდიკატორი).

ღია მმართველობა - სამართლებრივი აქტებისა და სახელმწიფო მონაცემთა გამოქვეყნება, ინფორმაციის თავისუფლება, სამოქალაქო ჩართულობა, გასაჩივრების მექანიზმები (4 ინდიკატორი).

მთავრობის ძალაუფლების შეზღუდვა - საკანონმდებლო კონტროლი, სასამართლო კონტროლი, დამოუკიდებელი აუდიტი, სანქციები თანამდებობის პირთა გადაცდომებისთვის, არასამთავრობო სექტორის კონტროლი, ხელისუფლების კანონისმიერი ცვლილება (6 ინდიკატორი).


სამოქალაქო მართლმსაჯულება - მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა (ფიზიკური, ფინანსური), დისკრიმინაციის არარსებობა, კორუფციის არარსებობა, აღმასრულებელი ხელისუფლების გავლენის არარსებობა, პროცესის დაუსაბუთებელი გაჭიანურების არარსებობა, ეფექტური აღსრულება, ეფექტური და მიუკერძოებელი დავის ალტერნატიული გადაწყვეტის მექანიზმები (7 ინდიკატორი).

სისხლის სამართლის მართლმსაჯულება - ეფექტური გამოძიება, დროული და ეფექტური მართლმსაჯულება, ეფექტური პრობაციის სისტემა, დისკრიმინაციის არარსებობა, კორუფციის არარსებობა, აღმასრულებელი ხელისუფლების გავლენის არარსებობა, სამართლიანი სასამართლო პროცესი (7 ინდიკატორი).

საქართველო კანონის უზენაესობის გლობალური ინდექსში


2017-2018 წლების შეფასება

კანონის უზენაესობის გლობალური ინდექსის თანახმად 2017-2018 წლებში კანონის უზენაესობის მდგომარეობა საქართველოში 0.61 ქულით არის შეფასებული (მაქსიმალური 1 ქულა). მოცემული მაჩვენებლით საქართველო 38 ადგილს იკავებს შეფასებულ 113 ქვეყნას შორის. 2016 წელთან შედარებით საქართველოს მაჩვენებელი 2017-2018 წლებში 0.04 ქულითა და 4 პოზიციით გაუარესდა.



კანონის უზენაესობის ინდექსით შეფასებულ რვა კრიტერიუმს შორის 2017-2018 წლებში საქართველომ ყველაზე მაღალი (0,79) შეფასება წესრიგისა და უსაფრთხოების კომპონენტში მიიღო. სხვა მაჩვენებლებთან შედარებით მაღალი ქულით შეფასდა ქვეყანაში კორუფციის არარსებობაც (0.71). კანონის უზენაესობის გლობალური ინდექსის თანახმად ყველაზე პრობლემურ მიმართულებებს საქართველოში სამოქალაქო და სისხლისსამართლებრივი მართლმსაჯულება, ღია მმართველობა, მთავრობის ძალაუფლების შეზღუდვა და სარეგულაციო აღსრულება წარმოადგენენ. საშუალოზე მაღალი მაჩვენებლით არის შეფასებული ფუნდამენტური უფლებების დაცვის მდგომარეობა.

საქართველოს მაჩვენებლები 2017-2018






წესრიგი და უსაფრთხოება


საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფა სახელმწიფოს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ფუნქციას, შესაბამისად ის კანონის უზენაესობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანეს ფაქტორს წარმოადგენს. წესრიგისა და უსაფრთხოების კრიტერიუმით ფასდება თუ რამდენად არის სახელმწიფოში დაცული ინდივიდთა უსაფრთხოება და მათი საკუთრების ხელშეუხებლობა.

მოცემული ინდექსის მიზნებისთვის წესრიგისა და უსაფრთხოების კრიტერიუმი აერთიანებს ისეთ ფაქტორებს როგორც არის დანაშაულის არარსებობა, რომელიც თავს თავში მოიაზრებს დანაშაულის დაბალ დონესა და შესაბამისი რეაგირების მექანიზმების ეფექტურობას; სამოქალაქო კონფლიქტის არარსებობა და საზოგადოების მხრიდან ამა თუ იმ პრობლემათა გადაჭრის მიზნით ძალადობის გამოყენების პრაქტიკის არარსებობა.


კანონის უზენაესობის გლობალური ინდექსის თანახმად საქართველოს მაღალი შეფასება აქვს დანაშაულისა და სამოქალაქო კონფლიქტის არარსებობის ინდიკატორებში. მიუხედავად აღნიშნულისა დაბალი ქულით არის შეფასებული საზოგადოების მხრიდან ძალადობის გამოყენების თავიდან აცილების პრაქტიკა.



წესრიგისა და უსაფრთხოების კრიტერიუმის მაჩვენებელთა შედარება წლების მიხედვით გვიჩვენებს, რომ შეფასების თანახმად საქართველოში მაღალ დონეზე იყო უზრუნველყოფილი წესრიგი და უსაფრთხოება 2012-2015 წლებში. მიუხედავად აღნიშნულისა მაჩვენებელი საგრძნობლად დაეცა 2016-2018 წლებში.




2016-2018 წლებში წესრიგისა და უსაფრთხოების გაუარესება აისახა ასევე რეგიონულ და გლობალურ რეიტინგებშიც. კერძოდ რეგიონულ დონეზე საქართველოს პოზიცია ორი ადგილით გაუარესდა. რაც შეეხება გლობალურ რეიტინგს 2016 წელს საქართველოს 37-ე ხოლო 2017-2018 წლებში კი 30-ე ადგილი დაიკავა. გაუარესება განსაკუთრებით თვალშისაცემია თუ გავითვალისწინებთ, რომ მაგალითად 2014 წელს წესრიგისა და უსაფრთხოების კრიტერიუმში საქართველოს 17-ე პოზიცია ეკავა.




კორუფციის არარსებობა

კორუფციის არარსებობის კრიტერიუმი აფასებს სახელმწიფოში კორუფციის სამი ტიპის არსებობას: მექრთამეობა, ზეგავლენით ვაჭრობა და სახელმწიფო ფინანსების/რესურსების უკანონო განკარგვა. მოწმდება კორუფციის დონე ადმასრულებელ, სასამართლო, საპოლიციო/სამხედრო და საკანონმდებლო ორგანოებში.


კორუფციის არარსებობის კრიტერიუმში საქართველო საშუალოდ 0.71 ქულით არის შეფასებული. მოცემული კრიტერიუმის ინდიკატორებს შორის ყველაზე მაღალი შეფასება საქართველოს საპოლიციო და სამხედრო ორგანოებში კორუფციის არარსებობის მაჩვენებელში აქვს. შედარებით დაბალი შეფასება მიიღო ქვეყანამ ადმასრულებელ და სასამართლო ორგანოებში კორუფციის არარსებობის მხრივ. შეფასების თანახმად ყველაზე პრობლემურ შტოს კორუფციის არსებობის თვალსაზრისით საკანონმდებლო ორგანო წარმოადგენს.



კორუფციის არარსებობის ინდიკატორში საქართველოს ყველაზე მაღალი შეფასება 2012-2013 წლებში ქონდა. მაჩვენებელი საგრძნობლად დაეცა 2014 წელს. შეფასების თანახმად საქართველოში კორუფციის არარსებობის მხრივ მდგომარეობა მას შემდეგ არ გაუმჯობესებულა.



ბოლო წლებში კორუფციის არარსებობის კრიტერიუმის საგრძნობლად გაუარესების მიუხედავად საქართველომ შეინარჩუნა მოწინავე პოზიცია აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის ქვეყნებს შორის. რაც შეეხება გლობალურ რეიტინგს 2012-2013 წლებთან შედარებით საქართველოს მდგომარეობა ორი პოზიციით გაუარესდა 2017-2018 წლების შეფასებაში.







ფუნდამენტური უფლებების დაცვა

ფუნდამენტური უფლებების დაცვის კრიტერიუმი აფასებს ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა მდგომარეობას სახელმწიფოში. იქიდან გამომდინარე, რომ ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა ცნება ძალზედ ფართოა, მოცემული კრიტერიუმი ფოკუსირებულია უფლებათა შედარებით ვიწრო წრეზე, რომლებიც განმტკიცებულია ადამიანის უფლებათა უნივერსალური დეკლარაციით: სიცოცხლის უფლება, უფლება სამართლიან სასამართლოზე, აზრისა და გამოხატვის თავისუფლება, ინფორმაციის თავისუფლება, რელიგიის თავისუფლება, შვიკრებისა და მანიფესტაციის უფლება, დისკრიმინაციის აკრძალვა და დასაქმებულთა უფლებები.

2017-2018 წლების შეფასების თანახმად საქართველოში ფუნდამენტური უფლებების დაცვის მდგომარეობა 0.61 ქულით არის შეფასებული. მოცემული კრიტერიუმის ინდიკატორებს შორის ყველაზე დაბალი შეფასება ქვეყანას პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის მაჩვენებელში აქვს. დაბალი შეფასება მიიღო საქართველომ ასევე სამართლიანი სასამართლოს უფლებისა და დასაქმებულთა უფლებების უზრუნველყოფის მხრივ. მოცემული კრიტერიუმის ფარგლებში ყველაზე მაღალი ქულით სიცოცხლის უფლებისა და უსაფრთხოების ინდიკატორია შეფასებული.




შეფასების თანახმად ფუნდამენტურ უფლებათა უზრუნველყოფის მხრივ საქართველოში ყველაზე პრობლემური 2014 წელი იყო. მაჩვენებელმა საგრძნობლად იმატა 2015 -2016 წლებში, თუმცა კვლავ დაეცა 2017-2018 წლებში. შედეგად ბოლო წლებში ფუნდამენტურ უფლებათა დაცვის მდგომარეობა საქართველოში 2012-2013 წლების მაჩვენებლებამდე დაეცა.



რეგიონული რეიტინგის თანახმად საქართველოს აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონში ფუნდამენტურ უფლებათა დაცვის მხრივ პირველი პოზიცია 2016 წელს ეკავა, როდესაც მაჩვენებელი ყველაზე მაღალი ქულით იყო შეფასებული. 2017-2018 წლებში საქართველო ერთი პოზიციით ჩამოქვეითდა.

გლობალური მასშტაბით 2017-2018 წლებში საქართველო 46-ე ადგილზეა შეფასებულ 113 სახელმწიფოს შორის. მსგავსი პოზიცია ეკავა ქვეყანას 2012-2014 წლების განმავლობაში. საუკეთესო მაჩვენებელი სახელმწიფოს 2015 წელს ქონდა როდესაც ის შეფასებულ სახელმწიფოებს შორის 38 პოზიციაზე იყო.




სარეგულაციო აღსრულება


სარეგულაციო აღსრულების კრიტერიუმი აფასებს სახელმწიფოში კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებისა და რეგულაციების აღსრულების მდგომარეობას, რომლებიც დაკავშირებულია მმართველობის ადმინისტრირებასა და ორგანიზებასთან. კანონის უზენაესობა მოითხოვს ამ რეგულაციათა დაცვას და ეფექტურ აღსრულებას, ადმინისტრაციულ პროცედურათა დროულ წარმართვას, პროცედურული რეგულაციების

დაცვას და ადმინისტრაციული წარმოების მიუკერძოებლობას.

2017-2018 წლებში სარეგულაციო აღსრულების მდგომარეობა საქართველოში 0.58 ქულით არის შეფასებული. მოცემული კრიტერიუმის ინდიკატორებს შორის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი რეგულაციათა აღსრულების პროცესში უკანონო გავლენის არარსებობას აქვს. შეფასების თანახმად სარეგულაციო აღსრულების ფარგლებში პრობლემურ ინდიკატორებს წარმოადგენენ სამართლიანი ადმინისტრაციული პროცედურების უზრუნველყოფა და პროცესის დაუსაბუთებელი გაჭიანურების თავიდან აცილება.




სარეგულაციო აღსრულების შეფასებათა მაჩვენებლების შედარება წლების მიხედვით ცხადყოფს, რომ ბოლო წლებში ქვეყანაში საგრძნობლად გაუარესდა მდგომარეობა მოცემული მიმართულებით და ის თითქმის გაუტოლდა 2014 წლის მაჩვენებლებს, როდესაც სარეგულაციო აღსრულება ყველაზე დაბალი ქულით იყო შეფასებული. აღსანიშნავია, რომ სარეგულაციო აღსრულების მხრივ საქართველოში საუკეთესო მდგომარეობა 2012-2013 წლებში დაფიქსირდა.



აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონში სხვა სახელმწიფოებთან შედარებით საქართველოს შეფასების განმავლობაში ყოველ წელს პირველი პოზიცია ეკავა სარეგულაციო აღსრულების კრიტერიუმში.


გლობალური მასშტაბით საქართველოს შეფასების განმავლობაში წინა წლებთან შედარებით ყველზე დაბალი პოზიცია 2017-2018 წლების შეფასებით აქვს. საუკეთესო მაჩვენებელი გლობალურ რეიტინგში ქვეყანას 2012-2013 წლებისა და 2015 წლების შეფასებებში ქონდა, როდესაც მას 25-ე ადგილი ეკავა ყველა სხვა შეფასებულ სახელმწიფოს შორის.




ღია მმართველობა

მოცემული შეფასების მიზნებისთვის ღია მმართველობა გულისხმობს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობას, საჯარო პოლიტიკის შემუშავების პროცესში საზოგადოების ჩართულობის უზრუნველყოფას და საზოგადოების გაძლიერებასა და შესაბამისი მექანიზმების განვითარებას ხელისუფლების საქმიანობის კონტროლის მიზნებისთვის. მოცემული კრიტერიუმის შეფასება ეფუძნება ისეთ ფაქტორებს, როგორც არის ხელისუფლების მიერ საჯარო ინფორმაციის (მათ შორის საკანონდებლო აქტების) გაცემა და გამოქვეყნება, შეკრებისა და მანიფესტაციის უფლების უზრუნველყოფა, პეტიციათა სისტემის არსებობა და გადაწყვეტილება გასაჩივრების მექანიზმების ეფექტურობა.

2017-2018 წლებში საქართველოში ღია მმართველობის მდგომარეობა 0.57 ქულით არის შეფასებული. სხვა ინდიკატორებთან შედარებით ყველაზე მაღალი მაჩვენებელი ინფორმაციის თავისუფლებისა და გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში საზოგადოების ჩართულობის უზრუნველყოფის მიმართულებით დაფიქსირდა. შედარებით დაბალი მაჩვენებელი აქვს ქვეყანას ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნებისა და გადაწყვეტილებათა გასაჩივრების კუთხით.




2012 წლიდან დღემდე ღია მმართველობის მდგომარეობა საქართველოში ყველაზე მაღალი ქულით 2016 წელს იყო შეფასებული. მაჩვენებელი შედარებით დაეცა ბოლო 2017-2018 წლების შეფასებით. მოცემული მიმართულებით ქვეყანას ყველაზე დაბალი შეფასება 2012-2013 წლებში ქონდა.



აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის მასშტაბით საქართველოს პირველი პოზიცია ეკავა ღია მმართველობის მიმართულებით 2015 და 2016 წლებში. საქართველოს მაჩვენებელი ერთი პოზიციით დაეცა ბოლო 2017-2018 წლების შეფასებაში.

განსხვავებულია მსოფლიო რეიტინგის სურათი. 2012 წლიდან 2015 წლამდე საქართველომ საკუთარი მდგომარეობა 25 პოზიციით გააუმჯობესა. მიუხედავად აღნიშნულისა მსოფლიო რეიტინგში საქართველოს მდგომარეობა ყოველწლიურად უარესდებოდა 2015 წლიდან დღემდე, როდესაც ის 29-ე პოზიციიდან 42-ე პოზიციამდე დაეცა.







მთავრობის ძალაუფლების შეზღუდვა

მთავრობის ძალაუფლების შეზღუდვის კრიტერიუმით ფასდება თანამდებობის პირთა ანგარიშვალდებულება კანონის წინაშე. ის აერთიანებს კონსტიტუციურ და ინსტიტუციურ მექანიზმებს, რომლებიც უზრუნველყოფენ უკლებლივ ყველა ადმინისტრაციული ორგანოს ანგარიშვალდებულებას. შესაბამისად მოცემული კრიტერიუმის ინდიკატორებს წარმოადგენენ ისეთი მექანიზმები, როგორც არის მთავრობის კონტროლი სასამართლო და საკანონმდებლო ორგანოების მიერ, დამოუკიდებელი აუდიტისა და არასამთავრობო კონტროლის არსებობა, ხელისუფლების კანონისმიერი ცვლილება და სანქციები თანამდებობის პირთა გადაცდომებისთვის.


შეფასების თანახმად ჩამოთვლილ კრიტერიუმებს შორის საქართველოში ყველაზე მაღალ დონეზე არასამთავრობო კონტროლი და დამოუკიდებელი აუდიტის არსებობაა შეფასებული. ყველაზე დაბალი მაჩვენებელი თანამდებობის პირთა სანქციების მიმართულებით დაფიქსირდა. დაბალი ქულით არის ასევე შეფასებული სასამართლო კონტროლი. საერთო ჯამში 2017-2018 წლებში მთავრობის ძალაუფლების შეზღუდვის კრიტერიუმი საქართველოში 0.57 ქულით შეფასდა.



მთავრობის ძალაუფლების შეზღუდვის კუთხით საქართველოს ყველაზე მაღალი მაჩვენებლები 2015 და 2016 წლების შეფასებებით ქონდა. მაჩვენებელი საგრძნობლად დაეცა ბოლო 2017-2018 წლებში. ყველაზე დაბალი შეფასება ქვეყანას 2012-2013 წლებში ქონდა.



აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონში საქართველოს მოწინავე პოზიცია უკავია მთავრობის ძალაუფლების შეზღუდვის კრიტერიუმში. რაც შეეხება გლობალურ რეიტინგს, ქვეყნას ყველაზე მაღალი პოზიცია 2015 წელს ეკავა. მომდევნო წლებში საქართველოს პოზიცია ყოველწლიურად ეცემოდა და 2017-2018 წლებში ის 52 ადგილზეა შეფასებულ 113 სახელმწიფოს შორის.




სამოქალაქო მართლმსაჯულება


ეფექტური სამოქალაქო მართლმსაჯულება კანონის უზენაესობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ფაქტორს წარმოადგენს. მოცემული კრიტერიუმის შეფასების მიზნებისთვის მოწმდება ისეთი ფაქტორები როგორც არის მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა (ფიზიკური, ფინანსური), მისი სისწრაფე და ეფექტურობა, საქმის წარმოების პროცესში დისკრიმინაციისა და უკანონო გავლების არარსებობა, ისევე როგორც დავის ალტერნატიული გადაწყვეტის მექანიზმების - მედიაციისა და არბიტრაციის ეფექტურობა.

სამოქალაქო მართლმსაჯულების ინდიკატორებს შორის საუკეთესო მაჩვენებლით სწორედ დავის ალტერნატიული გადაწყვეტის მექანიზმებია შეფასებული საქართველოში. სხვა ინდიკატორებთან შედარებით მაღალი ქულით არის შეფასებული ასევე მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა და კორუფციის არარსებობა. მიუხედავად აღნიშნულისა შეფასების


თანახმად პრობლემურ მიმართულებას წარმოადგენს აღმასრულებელი ხელისუფლების გავლენა სამოქალაქო მართლმსაჯულების პროცესში. მოცემული კრიტერიუმის ინდიკატორებს შორის ყველაზე დაბალი ქულით პროცესის დაუსაბუთებელი გაჭიანურების პრაქტიკა არის შეფასებული. სამოქალაქო მართლმსაჯულების მდგომარეობა საქართველოში 0.54 ქულით არის შეფასებული 2017-2018 წლებში.



კანონის უზენაესობის გლობალური ინდექსის თანახმად 2012 წლიდან დღემდე სამოქალაქო მართლმსაჯულების მდგომარეობა ყველაზე დაბალი ქულით 2017-2018 წლებში შეფასდა. დაბალი შეფასება ქონდა საქართველოს 2014 წელსაც, რის შემდეგაც პროგრესი დაფიქსირდა 2015-2016 წლების განმავლობაში. მიუხედავად აღნიშნულია, ბოლო 2017-2018 წლებში შეფასების საგრძნობლად გაუარესების გამო მიღწეული პროგრესი დაიკარგა და მაჩვენებელი 2014 წლის შეფასებაზე დაბლა დაეცა.




2017-2018 წლებში საგრძნობლად დაეცა საქართველოს პოზიცია რეგიონულ და გლობალურ რეიტინგებშიც. თუკი 2015 წელს საქართველოს აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონში პირველი პოზიცია ეკავა ბოლო შეფასებით ის 4 ადგილზე. შეფასების განმავლობაში პირველად დაიკავა საქართველომ 55-ე პოზიცია გლობალურ რეიტინგში სამოქალაქო მართლმსაჯულების კრიტერიუმში. შედარებისთვის 2015 წელს საქართველოს გლობალურ რეიტინგში 26-ე ადგილი ეკავა.




სისხლის სამართლის მართლმსაჯულება

ეფექტური სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემა საკუთარ თავში მოიცავს ეფექტურ გამოძიებასა და სამართალწარმოებას სისხლის სამართლის საქმეებზე. შესაბამისად მოცემული კრიტერიუმის შეფასების მიზნებისთვის მოწმდება სისხლის სამართლის მართლმსაჯულების ისეთი ასპექტები, როგორც არის ეფექტური გამოძიება, დროული და ეფექტური მართლმსაჯულება, ეფექტური პრობაციის სისტემა, დისკრიმინაციის არარსებობა, კორუფციის არარსებობა, აღმასრულებელი ხელისუფლების გავლენის არარსებობა და სამართლიანი სასამართლო პროცესი.


სისხლის სამართლის მართლმსაჯულების ინდიკატორებს შორის ყველაზე პრობლემურად საქართველოში ეფექტური გამოძიებისა და დაუსაბუთებელი გავლენის არარსებობა არის შეფასებული. მაღალი შეფასება აქვს ქვეყანას მართლმსაჯულების სისტემაში კორუფციის არარსებობის ინდიკატორი, თუმცა როგორც ზემოთ აღინიშნა, ის არ გულისხმობს მართლმსაჯულების სისტემის თავისუფლებას აღმასრულებელი ხელისუფლებისგან მომავალი უკანონო გავლენისგან.



2012 წლიდან დღემდე სისხლის სამართლის მართლმსაჯულება ყველაზე მაღალი ქულით 2012-2013 წლებში იყო შეფასებული. სამწუხაროდ 2012 წლიდან დღემდე მოცემულ ინდიკატორ პროგრესი არ განუცდია. სისხლის სამართლის მართლმსაჯულება ყველაზე დაბალი ქულით საქართველოში 2014 და 2017-2018 წლებში შეფასდა.



კრიტერიუმის შეფასების ვარდნა აისახა რეგიონულ რეიტინგზე და საქართველომ პირველი პოზიციიდან მეორე პოზიციაზე გადაინაცვლა. შეფასების განმავლობაში ყველაზე დაბალი პოზიცია უკავია საქართველოს რეგიონულ რეიტინგში ბოლო 2017-2018 წლების ანგარიშის თანახმად. 2012-2013 წლების მდგომარეობასთან შედარებით ბოლო შეფასებით საქართველომ საკუთარი პოზიცია 22 ადგილით გააუარესა.



დასკვნა

2017-2018 წლების კანონის უზენაესობის გლობალური ინდექსის თანახმად ბოლო წლებში საქართველოში საგრძნობლად გაუარესდა მდგომარეობა კანონის უზენაესობის მრავალი მიმართულებით. 2012 წლიდან დღემდე საქართველომ წინა წლებთან შედარებით ყველაზე დაბალი ქულა მიიღო ინდექსით შეფასებულ რვა კრიტერიუმს შორის 4-ში, კერძოდ: კორუფციის არარსებობის, სარეგულაციო აღსრულების, სამოქალაქო და სისხლის სამართლის მართლმსაჯულების მიმართულებებში.

2015-2016 წლებში საქართველოში გაუმჯობესდა ფუნდამენტური უფლებების, ღია მმართველობისა და მთავრობის ძალაუფლების შეზღუდვის მდგომარეობა, თუმცა მაჩვენებელი კვლავ დაეცა ბოლო 2017-2018 წლების შეფასებით.

საერთო ჯამში საქართველოს მაჩვენებელი 2017-2018 წლებში 0.04 ქულითა და 4 პოზიციით გაუარესდა. ქვეყანამ მოწინავე პოზიცია დაკარგა კანონის უზენაესობის მრავალი მიმართულებით აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონშიც.

კანონის უზენაესობის გლობალური ინდექსი წარმოადგენს ერთადერთ გლობალურ ინდექსს, რომელიც ეფუძნება „მსოფლიო სამართლის პროექტის“ მიერ ჩატარებულ დამოუკიდებელ გამოკითხვებსა და სიღრმისეულ კვლევას. განსაკუთრებით პრობლემურია ის, რომ ბოლო ანგარიშით საქართველოში კანონის უზენაესობის მდგომარეობა გაუარესდა, თუკი გავითვალისწინებთ, რომ საქართველო წარმოადგენს ერთ-ერთ განვითარებად ქვეყნას, რომელიც ისწრაფვის ევროკავშირისა და მისი სტანდარტების დაკმაყოფილებისკენ.

მსგავს გლობალურ შეფასებათა საფუძველზე, ქვეყნას ეძლევა შესაძლებლობა გაეცნოს დამოუკიდებელ საერთაშორისო დამკვირვებელთა მიერ ქვეყანაში არსებული მდგომარეობის შეფასებას, მოახდინოს სუსტი მხარების იდენტიფიცირება და განაგრძოს მუშაობა არსებულ ხარვეზთა გამოსწორების მიზნით. ვიმედოვნებთ, რომ მომავალი წლის შეფასებით კანონის უზენაესობის მიმართულებით არსებული რეგრესი აღმოიფხვრება და საქართველო განაგრძობს წინა წლებში არსებული პროგრესის მიმართულებით სვლას.